ლევან ახვლედიანი

ისტორიის ექსპერტ-კონსულტანტი

სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი“

მასტერკლასის ანოტაცია ისტორიაში

სახელმწიფო, როგორც სოციალური ინსტიტუტი მრავალი საუკუნის განმავლობაში იყო ფილოსოფოსების, იურისტებისა და ისტორიკოსების სერიოზული განსჯის საგანი. უდიდესს მოაზროვნეთა მთელი თაობები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რათა ერთხელ და სამუდამოდ გაეცათ პასუხი შეკითხვაზე - თუ რას წარმოადგენს სახელმწიფო და რა როლს თამაშობს ის საზოგადოების ცხოვრებაში?
ნებისმიერი საგნის ან მოვლენის ანალიზისას, პირველ რიგში, საჭიროა დავადგინოთ მისი წარმოშობა. სახელმწიფოს წარმოშობის შესწავლას აქვს არა მარტო შემეცნებითი და აკადემიური, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც. ამგვარი ანალიზი საშუალებას იძლევა ღრმად ჩავწვდეთ ამ ინსტიტუტის სოციალურ ხასიათს და მისი ფუნქციონირების მრავალფეროვან მექანიზმებს.
საუკუნეთა განმავლობაში იქმნებოდა სახელმწიფოს წარმოშობის სხვადასხვა თეორიები რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, არა მარტო ამ თეორიათა შემქნელების, არამედ იმდროინდელი პოლიტიკური ელიტის და ინტელექტუალური საზოგადოების გამწყობას გამოხატავდა.

ზემოთთქმულის გათვალისწინებით გადავწყვიტეთ საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგებისთვის გაგვეცნო სახელმწიფოს წარმოშობის ძირითადი თეორიები, რომლებსაც ისინი სწავლების პროცესში გამოიყენებენ.

მასწავლებლებს ასევე შევთავაზებთ სხვადასხვა ტიპის წყაროების გასაანალიზებლად სამუშაო ფურცლების გამოყენებას. მათი მეშვეობით შესაძლებელია წყაროების მარტივი და სწრაფი ანალიზი, რომელიც ამავე დროს მეტად საინტერესო და შემოქმედებითი ხასიათის სამუშაოს წარმოადგენს ჩვენი მოსწავლეებისთვის.

<u>მასტერ კლასის მიზნობრივი ჯგუფი:</u> ისტორიის მოქმედი მასწავლებლები

<u>მსმენელთა რაოდენობა:</u> 25 მსმენელი

<u>მასტერ კლასის ხანგრძლივობა:</u> 4 საათი.